№ 82 აპრილი 21, სამშაბათი — 1892 — აპრილი 21, სამშაბათი № 82


გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1892


ამ ნომერში რვა გვერდია

---

მღვდელი ილარიონ სიმონის ძე გძელიშვილი და შვილნი მისნი: გრიგოლ, სიმონ, ვლადიმერ და ეკატერინე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 25 აპრილს, გორის მაზრის სოფელს მერეთში გარდახდილი იქნება წლის წირვა პირველის მეუღლისა და მეორეთა დედისა, **ნინო იოსების ასულისა.** (2—1)

---

,,წერა-კითხვის საზოგადოებისა'' და ,,ქართველთა ამხანაგობის'' წიგნის მაღაზიებში ისყიდება

ახალი წიგნი:

**თავადი ილია ჭავჭავაძე**

და

**იმისი მოღვაწეობა.**

ფასი 20 კაპ. 3—2

---

ახლად გაიმართა კანტორა

**ნოტარიუს გრიგორიევისა**

ტფილისში, სოლოლაკის ქუჩაზედ,

იაკობ გურგენოვის სახლში, № 2. 3—2

---

## ახალი ამბავი

*** საგანგებო კრებამ ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისამ გუშინ-წინ გარდასწყვიტა, რომ 3,500 მანათი მიეცეს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს უმაღლესს სტუმართა დასახვედრად.

*** 18 აპრილს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში საზოგადო კრება მოხდა ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობისა. კრებაზედ წაკითხულ იქმნა ანგარიში კრების დაარსებიდგან, ე. ი 1890 წლის 1 აპრილიდგან 1892 წლის 1 იანვრამდე. ამ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ კრებას ამ ჟამად 137 წევრი ჰყავს და სულ 294 პაი გაუყიდნია. პაის ფული ჯერ ყველა წევრს სრულად არ შემოუტანიათ, ამიტომ 1892 წლის 1 იანვრამდე ამხანაგობას ჰქონდა მხოლოდ 11,432 მან. 80 კაპ. პაის ფული. ხსენებულ დროს განმავლობაში ამხანაგობას დაუხარჯავს სტამბის შეძენასა და მოწყობილებაზედ 8,775 მან., 12 წიგნის გამოცემაზედ 4,918 მან. სულ დაუხარჯავს 16,000 მანეთამდე. წმინდა მოგება ამხანაგობისა 283 მან. 58 კაპ. ყოფილა. ამ ფულიდგან 7% გადადებულია იმ წევრთა დივიდენდისათვის, ვისაც პაის სრული ფასი შეუტანია. შემდეგ წაკითხულ იქმნა მოხსენება ამხანაგობისა, რომ 200 ახალი პაი კიდევ გამოვცეთო, რადგანაც მსურველი ბევრი არისო. კრება ერთ-ხმად დასთანხმდა გამგეობის მოხსენებას. დასასრულ კრებამ აირჩია თანამდებობის კაცნი. გამგეობის მმართველად ამორჩეულ იქმნა ისევ ა. ჯაბადარი, წევრებად—ვ. აღნიაშვილი და ს. ინასარიძე, მდივნად—ნ. ზედგინიძე. ხაზინადრად ამორჩეულ იქმნა ი. მაჭავარიანი. სარედაქციო კომმისიის წევრად—ნ. მთვარელიშვილი, ე. თაყაიშვილი, ი. ბაქრაძე, ა. მირიანაშვილი და ვ. რცხილაძე. სარევიზიო კომისიის წევრებად—პავლე ყიფიანი, ნ. მთვარელიშვილი, ვ. ბერელაშვილი და ი. მათიკაშვილი.

*** გუშინ-წინ ქართულის თეატრის არტისტებმა წარმოადგინეს „ჰამლეტი“. წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო და რიგიანადაც ჩაიარა. განსაკუთრებით კარგად აასრულეს უმთავრესი როლები: ვ. მესხიშვილმა და ქ-ნმა საფაროვისამა და ავალიშვილისამ. დასასრულ წარმოადგინეს ვოდევილი „გულმა იგრძნო“. ამ ვოდევილში ქ-ნმა საფაროვისამ ჩვეულებრივად ასიამოვნა მაყურებლები თავისის მოხდენილის თამაშობით.

*** მომავალმა საზოგადო კრებამ ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთამ სხვათა შორის უნდა განიხილოს წინადადება იმის შესახებ, რომ მთავრობას სთხოვონ, რათა ბანკს ნება მიეცეს დიდის ვადით სესხი მისცეს ხოლმე ერობათ, ქალაქებს, საზოგადოებათა და საზოგადო დაწესებულებათ უძრავ ქონების დაუგირავებლად.

*** ძლივს ეღირსა ბ-ნს გოდრონს აფრენა ჰაეროსტატით. გუშინ-წინ, ნაშუადღევის სწორედ ხუთს საათსა და 10 წუთზედ, საიუნკრო სასწავლებლის მოედნიდგან აეშვა ჰაეროსტატი გოდრონისა. ისე მაღლა ავიდა ჰაეროსტატი, რომ ბ-ნი გოდრონი თითქმის ფრინველის ოდენა-ღა სჩანდა. ორს წუთს შემდეგ ბ-ნმა გოდრონმა ჩამოხსნა ჰაეროსტატს პარაშიუტი და საშინელის სისწრაფით დაეშვა დედამიწისკენ; როცა პარაშიუტი გაიშალა, მაშინ-კი ნელ-ნელა წამოვიდა და მუშტაიდში, მტკვრის პირას დაეშვა მიწაზედ. ხალხი აუარებელი დაესწრო. მიხეილის ქუჩა თითქმის მთლად შეკრული იყო ხალხით ხსენებულ მოედნის ახლო-მახლო.

ამბობენ, ახლა ბ-ნ გოდრონის ცოლი აპირობს ჰაეროსტატით აფრენას ტფილისშივეო.

*** შაბათ დღეს, 18 აპრილს, ჩუღურეთში, პანასევიჩის ქუჩაზე ორჯელ ზედაზედ რევოლვერი დასცალეს ბინდისას. როგორც გამოირკვა, თავის მოკვლა განეზრახა ერთს თვრამეტ-ცხრამეტის წლის მოსწავლეს იმ მიზეზით, რომ ერთი ნაცნობი ქალი სხვასთან მოსეირნედ დაენახა. რევოლვერი ორჯელ ისროლა და მაშინვე დაეცა გულ-წასული. ასწიეს, სამკურნალოში მიიყვანეს და იქ, თუმცა ექიმებმა ბევრი უძებნეს, მაგრამ ჭრილობა ვერსად უპოვნეს. შიშით წასვლოდა გული, თორემ ტყვია ოდნავადაც არსადა ჰქონდა მოხვედრილი.

*** მიხეილის სამკურნალო ამ ჟამად დიდს ყურადღებას აქცევს ხუნაგით ავადმყოფებს, რომელთა რიცხვიც დღე-დღეზედ ჰმატულობს. თუმცა ამ ჟამად სამკურნალოში ათ ხუნაგიან ავადმყოფის მეტი არ არის, მაინც სამკურნალომ, სამკურნალო ნაწილის მმართველის ბ-ნ გლავაცკის განკარგულებით, მთელი ფლიგელი დააცალიერა და ოც-და-ათამდე ადგილი მოამზადა ხუნაგით ავადმყოფთათვის. ეს ფლიგელი უფრო განმარტოებულ-მოშორებულია, რომ შიში არაფრისა იყოს. ხუნაგით ავადმყოფნი უკვე გადაიყვანეს ამ ახლად მომართულს ფლიგელში.

*** 17 აპრილს, საღამოს 7 საათზედ, მიხეილის საავადმყოფოში გაჰქურდეს იქაური მოსამსახურე თევდორე გლუშენკო. შარშანაც სწორედ ამ დროს ესევე გლუშენკო გაჰქურდეს. საჭიროა, ბრძანება გასცენ, რომ სამკურნალოს ეზოდგან, რომელსაც დარაჯი უდგას, არავის არაფრის გატანის ნება არ მისცენ ხოლმე, თორემ ერთს დღეს შეიძლება მთელი საავადმყოფო გაჰზიდონ.

*** როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, განზრახვა აქვთ ტფილისში საავადმყოფო დააარსონ მდაბიო ხალხისათვის. მდაბიო ხალხს შორის წლიური გარდასახადი თითო მანეთი უნდა შემოიღონ კაცის თავზედ და ამ ფულით გაუძღვნენ საავადმყოფოს მოწყობა-წარმოების ხარჯს. ტფილისის პოლიცმეისტერს ბ-ნ მასტიცკის ამის შესახებ ცნობები შეუკრებია იმის გამოსარკვევად, თუ რამდენი ფული შესდგება, ყველაზედ თითო-თითო მანათი გარდასახადი რომ შემოიღონ საავადმყოფოსათვის. პოლიცმეისტერის მიერ შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, რომ წელიწადში ტფილისში 15,123 კაცი ჩამოდის სამუშაოს საშოვნელად, მამაკაცი მოსამსახურე 4,097 სული ითვლება და დედაკაცი—1,275 სული. ყველა ამათ თითო მანათი რომ შეაწერონ, სულ 20,495 მან. შესდგება და ეს ფული-კი ვგონებთ კარგად გაუძღვება საავადმყოფოს ყოველსავე ხარჯს.

*** ამ დღეებში უმართებულესმა სენატმა განმარტა, რომ კავკასიის სახელმწიფო გლეხებს ნება აქვთ თავიანთი სახელმწიფო ნადელები იჯარით გასცენ ხოლმე ადგილობრივ სახელმწიფო ქონებათა გამგეობის დაუკითხავადაო.

*** „წერა-კითხვის საზოგადოებას სალატარიოდ მოუვიდა შეწირულება სამსონ წერეთლისაგან:

ერთი ვერცხლის მანეთიანი, სამი ცალი ჩაინიკი, შვიდი ცალი ლამპა თავის გამართულობით, ორი ცალი გრაფინკა წყლისა, ხუთი ცალი ყვავილიანი ფინჯნები, ოთხი ცალი ღვინის პატარა ჩარექა და ოთხი ცალი ნაღების ჰურჭელი.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობა მადლობას უძღვნის შემომწირველს.

*** ხშირად მოხდება ხოლმე, რომ რკინის გზის ვაგონებში ადგილი არ არის მგზავრებისთვის. ამის გამო მთავრობას განზრახვა აქვს, რომ ვაგონებში ადგილები ნომრებით იყოს. რომელ ნომრის ბილეთსაც იყიდის მგზავრი, ვალდებული იქნება ის ადგილი დაიჭიროს. ამას გარდა მთავრობას განზრახვა აქვს, რომ რკინის გზის ბილეთების ფასი შეამციროს.

*** როგორც მკითხველებმა იციან, ამერიკის ვაზი ერთ-ერთი საშუალებაა ფილოქსერასთან ბრძოლის საქმეში, ხოლო ამ ქვეყნის ვაზის ჯიშები სხვა-და-სხვა თვისებისანი არიან, ყოველ მიწა-წყალს და ჰავას ერთ ნაირად არ ეწყობიან. ამას გარდა, ყოველ ჯიშის ვაზზედ ერთ ნაირად და ერთი და იგივე ვაზის მყნობა არ შეიძლება. ამიტომ საჭიროა ამ ჯიშების გამოცდა ჩვენში. ამ აზრით დ. ყვირილაში დაარსებულია საფილოქსერო კომიტეტისაგან ამერიკის ვაზის გამოსაცდელი ვენახი, აგრეთვე წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სკოლაშიაც ამრავლებენ ამერიკის ვაზს, სცდიან ამ ვაზს და მყნობის სხვა-და-სხვა წესს. ამ სკოლების დამაარსებელმა, ბ-ნმა ი. ი. წინამძღვრიშვილმა დაიბარა საფრანგეთიდგან, მონპელიედგან, იქაურის სამეურნეო სკოლის დირექტორის შემწეობით, ამერიკის ვაზის თესლი და წარსულის წლის 7 მარტს უკვე მიიღო კიდეც 500 გრამი რიუპესტრის (Rupestris) და 300 გრამი სოლონისის (Solonis)-ის ჯიშებისა, სულ ორი გირვანქა თესლი*). წარსულსავე წელს თესლი დაითესა განგებ მომზადებულ ალაგს სკოლის ფერმაში და წელს ახალშენში გადარგეს ორი ათას ხუთასი ნორჩი ძირი ამერიკის ვაზისა. წელსავე აპირებენ ამ ვაზებზედ ადგილობრივ ჯიშების ვაზის მყნობას. როგორც იგვარებს ჩვენში ამერიკის ვაზი და რომელი ჯიშიც უკეთ იმყნობა, ამაზედ მკითხველს თავის დროზედ მოვახსენებთ („მეურნე“).

*** გაზეთი მშაკი სწერს, რომ მ. პეტროსიანს ერთი მანქანა მოუგონია, რომლის შემწეობითაც ადამიანს ადვილად შეუძლიან გამოიანგარიშოს, რა სიშორეზედ არის რომელიმე ადგილი. მიწის მზომელთათვის ეს მანქანა ძლიერ სასარგებლო იქნებაო.

---

## რუსეთი

ფინანსთა სამინისტრომ გადასწყვიტა, რომ ამ წლის ენკენისთვიდგან აქციზი დაადოს კამფეტებს, რომელსაც საკანდიტეროში აკეთებენ.

— რუსეთის დასავლეთ გუბერნიების რამდენსამე სამეურნეო საზოგადოებას უთხოვნია მთავრობისათვის, რომ ამიერიდგან სასოფლო ხარჯის მაგიერად ხორბალი გამოართვითო. ეს ხორბალი მაღაზიებში იქნას შემოტანილი, ვიდრე გლეხი თავისს ხვედრს გადიხდისო. ამ გვარად ხალხს გაუადვილდება სახელმწიფო ხარჯის გადახდა და აღარ მიჰმართავს იმ მოვაჭრეთ, რომლებიც გლეხის ხელმოკლეობით სარგებლობენ და ძლიერ დიდს სარგებელს ართმევენო.

— ქ. ყაზანში საშინელი სახადი მძვინვარებს. სამკურნალოები გაჭედილია ავადმყოფებით. ყოველ დღე სამკურნალოებში 20—30 სახადით ავადმყოფი მიჰყავთ. ახლა რამდენი ავადმყოფია თავ-თავიანთ სახლებში: მთელს ყაზანში სახლი არ მოიპოვება, რომ სახადიანი ავადმყოფი არ იწვეს. ხალხი ისეა დაშინებული, რომ ვისაც-კი შეუძლიან, თავს ანებებს სახლ-კარს და მიდის ყაზანიდგან. ადგილობრივი მთავრობა ყოველ გვარს ღონისძიებასა ჰხმარობს ამ საშინელის სენის მოსასპობლად.

— პეტერბურგში არსდება ახალი ბანკი, რომელსაც საგნად აქვს კომისიით გაჰყიდოს ხოლმე ქარხნების ნაწარმოები. ბანკს ერთი მილიონი მანათი თანხა ექნება.

— კომპოზიტორს პ. ი. ჩაიკოვს-

---

*) ეს ორი გირვანქა თესლი დაჯდა სულ 32 ფრანკი (10 მან. 72 კაპ.)

კის ახალი ოპერა დაუწერია, სახელად „იონტალა“. ამ ოპერის შინაარსი ამოღებულია გერცის დრამიდგან: „მეფე რენეს ასული“. ოპერის ლიბრეტო კომპოზიტორის ძმას, მ. ი. ჩაიკოვსკის დაუწერია.

— 10 ივნისს მოსკოვში მოხდება პირველი კრება მთელის რუსეთის არაყის მექარხნეებისა.

— გაზეთს „Рус. Вѣд.“ დეპეშით ატყობინებენ იაროსლავიდგან: ადიდებულმა ვოლგამ ვოლოგოდის სადგურში 500,000 ფუთი პური წალეკა, რომელიც ყაზანის ერობამ იყიდა ვოლოგოდის გუბერნიაშიო.

— კიევში დაარსდა დასავლეთ-სამხრეთის სამეურნეო საზოგადოება, რომელსაც საგნადა აქვს მამულები შეისყიდოს და რუსეთის შიდა გუბერნიებიდგან გადმოსახლებულს გლეხებს მიჰყიდოს შეღავათიან პირობებით. მთავრობამ გადასწყვიტა, რომ ივნისის დამდეგს ვარშავა-ტერესპოლის რკინის გზა სახელმწიფომ შეისყიდოს.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** კლერიკალების საქმე მოსვენებას აღარ აძლევს საფრანგეთის მთავრობას. იუსტიციის მინისტრის უკანასკნელმა ცირკულიარმა კლერიკალთა შესახებ დიდად აალელვა სამღვდელოება. მთავრობა იმას სცდილობს, რომ სამღვდელოება საპოლიტიკო საქმეებს მოაშოროს, ხოლო თვით სამღვდელონი ყოველსავე ღონისძიებას ჰხმარობენ, რომ ასეთი უფლებანი შეირჩინონ. ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ მანდის ეპისკოპოსის ამბავი. მთავრობამ ჯერ ეს საქმეც ვერ დაასრულა თავის სურვილისამებრ, რომ ახლა სხვა სამღვდელონი წამოყელყელავდნენ და წაექომაგნენ მანდის ეპისკოპოსს. ეს სამღვდელონი არიან მთავარ-ეპისკოპოსი ავინიონისა და ოთხი მისი ხელქვეითი ეპისკოპოსი. ამათაც გამოსცეს ერთი საარჩევანო ცირკულიარი და ყველამ ხელი მოაწერა. შეუძლებელია, რომ საფრანგეთის მთავრობამ უპასუხოდ დასტოვოს ეს ცირკულიარი და თავის მხრივ იმის გამო შესაფერი განკარგულება არა მოახდინოს-რა. ყველაზედ სავალალო საფრანგეთის მთავრობისათვის უფრო ის არის, რომ ასეთი ცირკულიარები სამღვდელოებისა უბრალო და შემთხვევითი საქმე-კი არ არის, არამედ ლოგიკური და აუცილებელი შედეგია საქმეთა აწინდელ ვითარებისა. შემდეგისათვის უფრო მეტად მოელის გამწვავება ამ საქმეს და მთავრობაც უთუოდ იძულებული შეიქმნება ასე თუ ისე მოსპოს და დაამბოლოვოს იგი. რადგან კათოლიკეთა სამღვდელოება სცდილობს თავის განსაკუთრებულის საპოლიტიკო დასის დაარსებას, კოოხვა არ უნდა, ვერ დაემორჩილება და ვერ დასთანხმდება სურვილს რესპუბლიკის მთავრობისას, რომელიც სამღვდელოთ სახელმწიფო მოხელეებად ჰსახავს ამ ჟამად და უნდა სრულიად არ გარიოს საპოლიტიკო საქმეებში. სამღვდელოება უთუოდ მედგრად გაუმკლავდება მთავრობას და თუ რამდენიმე კაცი იმსხვერპლა ამ ბრძოლამ, სხვანი უფრო გაბედვით დაამთავრებენ მათ მიერ დაწყებულს საქმეს, ასე რომ რესპუბლიკას მომავალში უფრო მეტი გარჯა და ღონე დასჭირდება სამღვდელოებასთან საბრძოლველად.

საზოგადებაც გულგრილად და გულ-ხელ დაკრეფილი არ უცქერის სამღვდელოებასა და მთავრობის ბრძოლას ერთმანეთთან. ისიც ორ დასად არის დანაწილებული — ერთი სამღვდელოებას თანაუგრძნობს და მეორე მთავრობას. ასეთი დანაწილება საზოგადოებისა მით უფრო გამოაშკარავდა, რომ დრო დადგა საქალაქო არჩევანებისა (1 მაისს). პარიჟშიაცა და სხვა ქალაქებშიაც სამღვდელონი სცდილობენ თავიანთის კანდიდატების არჩევას და ათასის ღონისძიებით ძალას ატანენ მრევლს, რომ მომხრეობა მათს კანდიდატებს გაუწიონ. ერთის სიტყვით, კლერიკალთა და მათ მოწინააღმდეგეთა შორის ბრძოლა უფრო და უფრო მწვავდება. რესპუბლიკის მთავრობაც, რასაკვირველია, თავისას სცდილობს, მაგრამ ამასთანავე რწმუნდება, რომ იმ გვარის ღონისძიებით, რომელსაც ამ ჟამად ჰხმარობს, ვერაფერს გააწყობს და საქმეს ვერ გააკეთებს. მთავრობის ზოგს ღონისძიებას კლერიკალთა წინააღმდეგ სწორედ იმის წინააღმდეგი შედეგი მოჰყვა, რასაც მთავრობა მოელოდდა. იუსტიციის მინისტრმა რიკარმა, მაგალითად, როგორც ჩვენს გაზეთშიაც გვქონდა მოხსენებული, ჯამაგირი მოუსპო მანდის ეპისკოპოსს, მაგრამ კლერიკალებმა მაშინვე ხელის მოწერით შეუგროვეს ფული ჯამაგირის სანაცვლოდ. ამ სახით მანდის ეპისკოპოსს არაფერი არ უზარალნია. პირ-იქით, ოვაციები გაუმართეს და მოწამე კაცადაც დასახეს. ასეთივე საქმე მოუვიდა ეკის ეპისკოპოსსაც. რაც იმას ჯარიმა დააწერეს, სულ სხვებმა გადიხადეს, და ამასთანავე ეპისკოპოსმა სახელიც გაითქვა კლერიკალთა შორის.

რადგან ასეთი მიმართულება და ხასიათი მიიღო კლერიკალთა საქმემ, ამიტომ რამდენიმე გაზეთი ურჩევს მთავრობას, წრეს გადასული მღვდელნი სისხლის სამართლის კანონის მე-202 მუხლის მიხედვით დასაჯეთო, ე. ი. ან 2—5 წელიწადი ციხეში დააპატიმრეთ და ან სრულიად განდევნეთ საფრანგეთიდგანაო. მაგრამ, ეჭვი არ არის, მთავრობა არ მიჰმართავს ამ სასტიკს ღონისძიებას და სულ სხვა ნაირად მოიქცევა.

ხსენებული აურზაური სულ იმისი ბრალია, რომ კონკორდატის ძალით კათოლიკეთა სარწმუნოება სახელმწიფო სარწმუნოებად არის აღიარებული. სახელმწიფოს ცოტაოდენი რამ მოვალეობა აქვს ნაკისრი ეკკლესიის მიმართ და ამიტომ მღვდლებს სახელმწიფო მოხელეებად ჰხადის. თუ ეს კონკორდატი მოსპობილ იქმნა, მაშინ სახელმწიფო და სამღვდელოება ერთი-ერთმანეთის მოვალეობისაგან განთავისუფლდებიან და სამღვდელოთ სრული უფლება მიეცემათ სახელმწიფო საქმეებში ჩარევისა. სწორედ ასეც მოიქცევა მთავრობა ადრე თუ მალე, თუ სამღვდელოებამ ეხლავე არ მოიკრიბა ჭკუა და თავისი ეხლანდელი საქციელი არ მოიშალა.

## წვრილი ამბავი

„Nouvelle Revue“-ში 15 მარტს დაბეჭდილია წერილი „Louis Gallet“-ისა, რომელშიაც აწერილია სურათი პარიჟის დანთქმა-დაღუპვისა 1200 წლს შემდეგ. ავტორი ასწერს იმ სურათს, რომელიც მე-30 საუკუნეში იქნება, და ამბობს, რომ მაშინ ერთად-ერთი ძეგლი და სახსოვარი მე-19 საუკუნისა ეიფელის კოშკი-ღა დარჩებაო, ეიფელის კოშკი, რომელსაც საკმაოდ შესამჩნევი მნიშვნება ქვეყნის დანთქმის დროსაც-კი შერჩება. აი სურათი ქვეყნის დანთქმისა, როგორც ავტორი გადმოგვცემს: მთელს დედამიწას თოვლი დაჰფარავს სქლად და შემფოთხალ-შეძრწუნებული ხალხი ეიფელის კოშკზედ დაიწყებს ცოცვას და ზედვე გაიყინებიან. მოწმენდილი, ულრუბლოაცა. ჩამიჩუმიც არ ისმის. გაციებული სხივნი მზისა მკვდარს, თოვლით მოფენილს ქვეყანას ზედ დასცქერის... მაგრამ ამასთან ნუ დავივიწყებთ, რომ 1200 წელიწადი კიდევა გვაქვს ამ დრომდე და აი, რა მდგომარეობაში უნდა იყოს ქვეყნიერობა მე-3,000 წელს: სიასწულისა და ავადმყოფობის ხსენებაც არსად იქნება; ექიმები აღარავისათვის იქნებიან გამოსადეგნი და ამათს ადგილს დაიჭერენ ქიმიკოსები და ფიზიოლოგიის პროფესორები. ყოველ გვარი მიკრობ-ბაცილა, რომელიც ეხლა ისეთს შიშის ზარსა სცემს ქვეყანას, მოსპობილი იქნება, ან ისე მისუსტებული, რომ არავითარის ზარალის მოტანა აღარ შეეძლება. ჯანსაღობისა და გარეგნობის შერჩენა-დაცვის ხელოვნება ისე გაუკეთესებულ - განკარგებულია, რომ თითქმის დაბერება აღარავის ეტყობა. ყველას ერთმანეთისა ესმის და ეყურება, რადგან ერთი საზოგადო ენა აქვს ყველა ერს. აღარავინ ჰზრუნავს არც ხელოვნებისათვის, არც ლიტერატურისა და მუსიკისათვის, თუმცა უშველებელს დარბაზებში საუცხოო კონცერტები იმართება; აღარც მუზეუმია, აღარც სურათების გამოფენა, აღარც წიგნთ-საცავებია; სხვა აღარა ლიტერატურა არა არსებობს, ჟურნალისტიკას გარდა. ყოველ დღიური გაზეთები ისეთი პაწაწა და დაწვრილმანებულია, რომ რამდენისამე სიტყვით აუწყებენ ქვეყანას საპოლიტიკო და სხვა ცხელ-ცხელს ამბებს. კომენტარიებსა და წერილებში აზრების მიკიბ-მოკიბვას სანთლითაც ვერ მოსძებნით, მხოლოდ შეუხამებელ-შეულამაზებელი ცნობები და ამბები იბეჭდება. უწინდელ პრტყელ-პრტყელ სიტყვების მთქმელ ჟურნალისტების მაგიერ რედაქციებში რეპორტერ-გამნასტიორებიდა ჰყავთ. ეს ახალ მოდის რეპორტერები თავისის ჰაეროსტატით ქვეყნის ყოველ მხარეს დაწრწიან. ეტლები და რკინის გზებიც აღარსად მოიძებნება, ხალხი სულ ასეთის ჰაეროსტატებით დადის ერთმანეთთან. მერე რომ იცოდეთ, რა სისწრაფითა და სიჩქარით დადიან. წარმოიდგინეთ, რომ მანძილს პარიჟსა და ტბას ჩადს შორის სულ რამდენისამე საათის განმავლობაში გასრიალდებიან ხოლმე. ამ ჩადის ტბასთან აქეთ სავაჭრო ადგილი. აა, მთელი სურათი მაშინდელ ხალხის ცხოვრებისა.

### წერილი რედაქციის მიმართ

ამასთანავე გაახლებთ დ. ძველ-სენაკში სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ 25-ს მარტს გამართულის წარმოდგენის ანგარიშს და უმორჩილესად გთხოვთ, ადგილი მისცეთ მას თქვენს პატივცემულს გაზეთში.

წარმოდგენილ იქმნა მოლიერის სამმოქმედებიანი კომედია „სკაპენის ცუღლუტობა“ და „ადვოკატი მელამე“. ბილეთები გაიყიდა 200 მანეთისა. კასშამმა და ბუფეტმა შემოიტანა 75 მ. და 85 კ. სულ შესდგა — 275 და 85 კ.

აქედგან დაიხარჯა: სცენის მოწყობაზედ და ტანისამოსისთვის 19 მან. და 94 კ., პარიკებისა და გრიმისათვის 5 მან., მისვლა-მოსვლის ქირად სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის 9 მან. 40 კ. აფიშების დასაბეჭდი 6 მანეთი, კასშაი და ბუფეტი დაჯდა 65 მან. 61 კაპ.

სულ დაიხარჯა 115 მ. და 95 კაპ. წმინდა შემოსავალი დარჩა 169 მან. და 90 კაპ., რომელიც გადადებულ იქმნა სამეურნეო განყოფილების მოსათავსებელ სახლის საშენებლად.

ამასთანავე საჭიროდ ვრაცხ დიდი მადლობა განვუცხადოთ ქ-ნ ბაბილინე კახტანგის ასულს და მათს მეუღლეს ბ-ნი გ. გ. ბებურიშვილს, რომელთაც სხვა-და-სხვა დახმარებით და ბილეთების გასყიდვით ყოველ გვარი შეწეობა აღმოგვიჩინეს ამ წარმოდგენაში; ქ-ნ ივლ. იოსელიანისას, რომელმაც დიდი შრომა მიიღო ბუფეტისა და და კასშმის გამართვისათვის და ოლ. ქავთარაძისას ბილეთების გასყიდვისათვის.

აგრეთვე დიდის მადლობის ღირსნი არიან ქ-ნნი ვერა ნ. ჟიჟიხია და ნატ. ირ. კალანდარაშვილი და ბ-ნნი თავადი ვლად. ს. აბაშიძე, ლ. ი. ჟვანია, ბესარიონ მიქამე, ვლად. ელიავა და არ. კალანდარაშვილი, რომელთაც იკისრეს როლების თამაშობა, და ბ-ნი ნ. პ. მურადოვი, რომელიც გვეხმარებოდა სცენისა და გრიმების მოწყობაში.

სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი ს. გ. ყიფიანი

## დეპეშა

18 აპრილი

**ლონდონი.** ავღანის ემირის ჯარს, რომელიც გერათსა და ბამიანს შორის სამს სოფელში იყო დაყენებული, ადგილობრივ მცხოვრებლებთან ბრძოლა მოუხდა და საშინლად ძლეულ იქმნა. გენერალი ემირისა ზუბერდოსტი-ხანი მძიმედ დაიჭრა. გერათიდგანა, ქაბულიდგანა და ყანდაარიდგან მისაშველებლად ჯარი გაიგზავნა.

**პარიჟი.** შინაგან საქმეთა სამინისტრო და პოლიციის პრეფექტი დარწმუნებულნი არიან, რომ ანარხისტებს უცხოელები აქეზებენო.

დღეს გზათა მინისტრმა ინახულა რკინის გზების მუშათა დელეგაცია და განუცხადა, რაც უნდა მიზეზი გქონდეთ, მუშაობაზედ ხელს ნუ აიღებთ და საზოგადო მოქმედებას ნუ შეაჩერებთო.

ბრძანებისამებრ დღეს დილით უნდა დააპატიმრონ 20-მდე ანარხისტი.

**ლონდონი.** იმ სახლში, სადაც პრეფექტის დედა სცხოვრობს, აფეთქება მოხდა დინამიტით; დაინგრა კიბე და ბაქანი. კაცთაგანი არავინ დაღუპულა. ერთის კვირის განმავლობაში პრეფექტმა რამდენიმე მუქარის წერილი მიიღო.

19 აპრილი

**პეტერბურგი.** 15—17 აპრილს განსაკუთრებულს კომიტეტს შეწირულება მოუვიდა $14^1/_2$ ათას მანეთზედ მეტი; აქედგან 7,878 მან. სერბიაში შეკრებილია სხვა-და-სხვა შემომწირველთაგან.

გაზეთები იუწყებიან, საცაა დამთავრდება კვირა-უქმეების დასვენების საქმეო. ვაჭრებს უკვე ეუწყებათ, რომ კვირა-უქმეობით ვაჭრობის ნება აღარ იქნებაო.

„Бирж. Вѣд.“-ს გაუგონია, გზათა სამინისტროსთან დაარსდება განსაკუთრებული საბჭო გზათა უწყების ინჟენერთაო.

**პარიჟი,** დილის 6 საათი. აქ მყუდროებაა; პროვინციებში არაფერს უწესოებას არ მოელიან.

დღეს ალჟირში 14 ანარხისტი შეიპყრეს, ლიონში — 8, მარსელში — 10 და სენტ-ეტიენში — 4.

20 აპრილი

**პარიჟი.** პირველმა მაისმა საფრანგეთში ძლიერ მშვიდობიანად ჩაიარა. არაფერი მანიფესტაცია ანარხისტთა არა მომხდარა-რა. პარიჟში ქუჩები თითქმის სრულიად უხალხო იყო. ბელგიაში კრებები მოხდა, მაგრამ უწესოება-კი არა ჩაუდენიათ-რა, გარდა ქალაქ ობლენისა, სადაცა სცადეს დინამიტით აფეთქება ბურგომისტრის სახლისა, თუმცა ცოტად-კი დაზიანდა სახლი. ისპანიაშიაც აგრეთვე მოხდა კრებანი, მაგრამ მშვიდობიანადკი ჩაიარა.

**კოპენჰაგენი.** გუშინ რამდენიმე ათასმა სოციალისტმა თავი მოიყარა კრებაზედ; წესიერება არ დარღვეულა.

**ბერნი.** პირველ მაისის დღესასწაულობას არავითარიმე უწესოება არა მოჰყოლია-რა. ცუდის დარისა გამო ციურიხის სოციალისტებმა დღესასწაული გადასდეს იმ კვირა დღემდე, როცა კარგი დარი დადგება.

**ბერლინი.** ბერლინსა და გერმანიის მრავალს სხვა ქალაქში სოციალისტების კრება მოხდა, მაგრამ უწესოება-კი არა მომხდარა-რა. გუშინდელს დღესასწაულს მთელს ევროპაში ხელი შეუშალა ცუდმა დარმა.

**რომი.** იტალიაში გუშინდელმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა, მხოლოდ ბოლონიაში ცოტაოდენი რამ უწესოება მოხდა. რომში მეფემა და დედოფალმა ჩვეულებრივ გაისეირნეს ეტლით, ხოლო პაპი წირვას დაესწრო.

**ლონდონი.** გუშინ გაიდპარკში დიდი კრება მოხდა, რომელსაც 300,000-მდე კაცი დაესწრო. 16 ტრიბუნა იყო გამართული ორატორთათვის, რომელთა შორის იყვნენ გერმანელი, ფრანგი, ავსტრიელი და პოლშელი სოციალისტები და ქალებიც.

გუშინ დილით ვულიჩის არსენალის კედელთან საკვოიაჟი იპოვნეს. საკვოიაჟში 8 ქილა იყო სავსე არც თუ დინამიტით და არც თუ თოფის წამლით.

გამგეობა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ უძრავი მამულები ქვემოდ დასახელებულთა პირთა, მიღებულნი გირაოდ ბანკში, დანიშნულნი არიან, თანახმად წესდების 14 §, საჯაროდ გასასყიდად, რადგან ამ ბანკის წესდების ძალით სავალდებულო გარდასახადი პატრონებისაგან არ არის შემოტანილი.

გასყიდვა არ მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხვედრს გარდასახადს შემოიტანენ.

მეელის კატეგორიისა

ა) ქალაქის მამულები.

ხერხეულიძე, ქაიხოსრო ქაიხოსროს ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით, ფლიგელით და სამოსამსახუროთი, მიწისა და ეზოს ზომა $324^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ., მე-11 ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ელისაბედის ქუჩაზედ და უსახელოზედ.

ოქუაშვილი, გრიგოლ იაგორის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფიანის სართულით, ეზოთი და მიწით, ზომით 76 ოთხ-კუთხი საჟ., ქ. ტფილისის მე-5 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ოქრომჭედლების ქუჩაზედ.

დავიდოვი, ლაზარე ლაზარეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ორ-სართულიანი ფლიგელით, სხვა შენობებით, ეზოთი და მიწით, ზომით 166 ოთხ-კუთხი საჟ., ქ. ტფილისს მე-2 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ხევის ქუჩაზედ.

მებურნუთოვი, დავით პავლეს ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველ გვარ მოწყობილობით, მიწით და ეზოთი, ზომით 518 ოთხ-კუთხი საჟ., მე-10 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ბაგრატიონის ქუჩაზედ.

ბეთანოვი, სტეფანე ივანეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველ გვარ მოწყობილობით, მიწით და ეზოთი, ზომით სიგრძით 28 საჟ. და სიგანით 13 საჟ. ქ. ახალციხეში.

ჭრელაევი, გრიგოლ დავითის ძე (ეხლა ფირალოვისა, არტემ სტეფანეს ძისა). ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, მიწით და ბაღით, ზომით 4 დესიატინა მე-16 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქალ. ტფილისს, ნავთლუხში.

თამამშოვის ალექსანდრე სოლომონის ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სამის წყაროთი, ყველა კუთვნილებით, ბაღით და რიგის წყლით, მიწა ზომით 3 დესიატინა და 350 ოთხ-კუთხი საჟ., მე-9 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, კრწანისში.

ტერ-შმავანოვი, ნიკოლოოზ ივანეს ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, ფლიგელით და ყველა მოწყობილობით, მიწა ზომით 86 ოთხ-კუთხი საჟენი, ან რამდენიც აღმოჩნდება. მე-6 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, მოლნინისა და ბებუთოვის ქუჩაზედ № 21.

რუსიევ-ყორჩიბაშევი, გიორგი გიორგის ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, მიწა ზომით, სიგრძით 50 საჟ. და სიგანით 25 საჟ. ქ. თელავში.

ჩოლაყაშვილი, ნიკოლოოზ ზაალის ძე და ჯანდიერი, ლევან გიორგის ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელით და მიწით, ზომით 800 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. თელავში.

ბ) სოფლის მამულები

ხიმშიევები: ნიკოლოოზ, ნინო, მარიამ გიორგის ძე და ასულნი და ეკატერინე ბეჟანის ასული. სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 653 დეს. და 1820 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., თელავის მაზ., სოფ ანტნის-ხევში.

ნაზარბეგოვი, სოლომონ გრიგოლის ძე. სახნავი და საძოვარი ადგილები, ზომით 548 დეს. და 1837 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ. და მაზ., სოფელ კიჩიკ-ყილაგირში (პატარა ყალაგირი, ანუ მოლლა-ახმეტლი).

ბარათოვი, გიორგი ვახტანგის ძე. სახნავი და საბოსტნე ადგილები, ზომით 177 დეს. და 1560 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ. და მაზ., აგარაკს ზემო-ოძისში.

ერისთავი, გიორგი გიორგის ძე. სახნავი, საძოვარი ადგილები, ტყე და შენობები, მიწა ზომით 284 დეს. და 1263 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ., თელავის მაზ., აგარაკს ქისტაურში.

ქანანოვი, გიორგი ზურაბის ძე. სახნავი და სამოსახლო ადგილები, შენობებით და ვენახით, მიწა ზომით 151 დეს. და 300 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., გორის მაზ., სოფელ ბრეთში.

მაღალოვისა, მარიამ დიმიტრის ასული (ეხლა აბხაზისა, ირაკლი და ალექსანდე ალექსანდრეს ძეთა) სახნავი, სათიბი, საძოვარი ადგილები და ტყე, შენობებით, მიწა ზომით 2867 დეს. და 562 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. და მაზრაში. ადგილების სახელები: სადახლო, ჩოჩქაანი, ქვემო ცოფი, თოხლი-ქილისა, არაბათალა, ფალიან-თაქიანი, გალითალა, ხუჯაბა, ლილვარის საძოვრები, ხუდიბანა, დაჩა არაბათალა და გულიბალა.

კერესელიძისა, ანასტასია გრიგოლის ასული. სახნავი, საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 104 დესიატინა და 1200 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, აგარაკს ბოგვში.

ამილახვრები, ზაქარია ალექსანდრეს ძე და ქეთევან ქრისტეფორეს ასული და თაზიევისა, მარიამ ალექსანდრეს ასული. სახნავი და სასახლკარე მიწები, ზომით 33 დესეტინა და 320 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელ გრაკალში.

ქობულოვები: იოსებ, სოლომონი და ზაქარია ადამის ძენი. სახნავი, საძოვარი მიწები და ტყე, ზომით 823 დესეტინა და 1200 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, სოფელ კონდოლში,

თარხან-მოურავი, დავით იორამის ძე. სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 525 დესეტინა და 876 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიაში, ტფილისისა და გორის მაზრაში, სოფელ ახალქალაქს, მუხაურსა და სათარხნოში.

კალატოზოვი, ვასილი აბელის ძე. სახნავი მიწები, ზომით 37 დესეტინა და 1200 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიაში, სოფელ ბრეთში.

ვაჩნაძე, იოსებ რევაზის ძე. სახნავი მიწები და ტყე, ზომით 663 დესეტინა. ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში, სოფ. ბარემკალსა.

ვახვახიშვილისა, ეკატერინე გიორგის ასული. სახნავი მიწები და ტყე, ზომით 308 დესეტინა 555 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, სოფ. კონდოლში.

ქარუმიძე, ივანე პაატას ძე. სახნავი მიწები, ზომით 34 დესეტინა და 1320 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრის სოფ. თორთიზაში.

მელიქიშვილი, მიხეილ ივანეს ძე. სახნავი, საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 840 დესეტინა და 2180 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფელს არაბათალას, ფალიან-თაქიანს, ხუჯაბას, მელიქაშენს, თეფურმას და სხვ.

ბაგრატიონ-მუხრანსკი, ივანე კონსტანტინეს ძე: სახნავი ადგილები და ტყე, ზომით 660 დესეტინა და 1800 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიაში, თიანეთის მაზრაში, აგარაკ ბოტკობში.

ორბელიანი, ივანე და გიორგი კონსტანტინეს ძენი. სახნავი, საძოვარი სათიბი ადგილები, ტყე და ორი სახლი, მიწა ზომით 731 დესეტინა და 1570 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში. სოფელ ყიზილ-აჯილას (იგივე იფნარი და თამას-ყულასობა) და საჯისსა.

ნათიშვილისა, მარიამ ზაალის ასული. სახნავი, სასახლკარე ადგილები და ტყე, ზომით 56 დესეტინა და 120 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიაში, დუშეთის მაზრაში, სოფელ საშაბუროში.

აღა-რაჰიმ-ჰაჯი-იბრაჰიმ- ზეინალოღლი და სახნავი სხვანი. და სათიბი ადგილები, ზომით 166 დესეტინა და 940 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, ბორჩალოს განყოფილებაში, სოფელ ყიროხლოს.

გრიქუროვი, ზაქარია პეტრეს ძე. საძოვარი და სათიბი ადგილები, ზომით 265 დესეტინა და 2235 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში პატარა ლილოს ახლო.

პოლტარაცკი, ალექსანდრე ეგნატეს ძე. სახნავი. საბალახე, საბოსტნე ადგილები, ბაღი და შენობები, მიწა ზომით 148 დესეტინა და 900 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფელ ოქროყანას.

პოლტარაცკი, ივანე ეგნატეს ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით, სამზარეულოთი და სხვა შენობებით, ეზოთი და წყაროთი, მიწა ზომით ერთ დესეტინამდე. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფელ ოქროყანას.

კორიტინსკაია, ანნა მარკოზის ასული და ბერკოვიჩი, ანნა იზრაელის ასული. სახნავი - სათიბი ადგილები და ტყე, ზომით 252 დესეტინა და 600 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, აგარაკ შავთასა და ვანეთში.

შოტტელევ, იპპოლიტეს ძე. სახნავი, საძოვარი ადგილები, მინდვრები და ტყე, ზომით 2074 დესეტინა და 420 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, სოფ. ზემო-ხოდაშენს, ახალ-დაბასა და ახშაანში.

ერისთავი, დარია დიმიტრის ასული. სახნავი, სასახლკარე ადგილები, ტყე და მინდვრები, ზომით 1009 დესეტინა. ტფილისის გუბერნიაში, დუშეთის მაზრაში, სოფ. წოლდოში.

გაბაევი, იოსებ დავითის ძე. სახნავი, სასახლკარო ადგილები, ბაღი და შენობები, მიწა ზომით 148 დესეტინა და 1860 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფელს ოქროყანაში.

თარხან-მოურავი, ნიკოლოოზ გრიგოლის ძე. სახნავი, სასახლკარე, სათიბი, საძოვარი და საბოსტნე ადგილები და ბაღი, ზომით 233 დესეტისა და 956 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. კუმისში.

მაკაროვი, პეტრე მინას ძე (ეხლა ქეფინოვისა. სახნავი, სასახლკარე, სათიბი ადგილები, ბაღი და შენობები, მიწა ზომით 177 დეს. და 7 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. და მაზ., სოფ. თხინვალაში.

სოლაღოვი, იასე ქაიხოსროს ძე (თაიროვი). სახნავი ადგილები, ზომით 25 დეს. და 1620 ოთხ-კუთხი საჟ., ტფ. გუბ. და მაზ. სოფ. კუმისში.

ხიზანაშვილი, ლუკა ბიძინას ძე და სხვები. სახნავ - სათიბი ადგილები და ტყე, ზომით 714 დეს. და 1320 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. თიანეთის მაზ. სოფ. ბოჭორმაში.

გაბაევი, პავლე პეტრეს ძე. სახნავი, საძოვარი და სათიბი ადგილები, ზომით 310 დეს. და 479 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. და მაზ. სოფ. საგაბაშვილოს, აგარაკ თხინვალაში.

ავსარქისოვი, ფარსადან იაკულის ძე, იარალოვი, სერგეი ივანეს ძე და პირო მელქისედექ ოსეფის ძე. სახნავი, სათიბი, საძოვარი და სასახლკარე ადგილები, ზომით 623 დეს. და 888 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. გორის მაზ. სოფ. სკრაში.

სტარასელსკისა, ეკატერინე თევდორეს ასული. სახნავი, საძოვარი და სათიბი ადგილები, ტყე, ბაღი, წისქვილი და შენობები, მიწა ზომით 1446 დეს. და 2294 ოთხ კუთხი საჟ., ან რამდენიც აღმოჩნდება. ტფ. გუბ. გორის მაზ. სოფ. სკრაში.

თამამშოვი, ვასილი ზაქარიას ძე. სახნავი, სასახლკარე, საძოვარი და საბაღე ადგილები, ზომით 106 დეს. და 320 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. და მაზ. სოფ. ერთისში.

გედევანიშვილისა, ეკატერინე ივანეს ასული. სახნავი, სათიბი და საძოვარი ადგილები, ზომით 111 დეს. და 1560 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. და მაზ. აგარაკ მუხათ-გვერდში.

გაბაევები, იოსებ და ივანე იაკობის ძენი. სახნავი, სათიბი და საძოვარი ადგილები, ზომით 309 დეს. და 1856 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. და მაზ. სოფ. საგაბაშვილო-თხინვალში.

შალიკოვი, იოსებ ივანეს ძე. სახნავი, სასახლკარე ადგილები, ტყე და ბაღი, ზომით 270 დეს. ტფ. გუბ. სიღნაღის მაზ. სოფ. გურჯაანში.

ყარაევი, ნიკოლოოზ ანდრიას ძე. სახნავი, საძოვარი, სასახლკარე და საბაღე ადგილები და შენობები, მიწა ზომით 142 დეს. და 1310 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. და მაზრაში, აგარაკ წავკისში.

მეჩითოვი, იაგორ, დარჩო და ნინო დარჩოს ძენი და ასული და სხვებიც: სახნავი და სასახლკარე ადგილები, ზომით 151 დეს. და 657 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. გორის მაზ. სოფ. ნაწრეტში.

გაბაევი, იოსებ დავითის ძე. სახნავი, საძოვარი, სასახლკარე ადგილები და ტყე, ზომით 178 დეს. და 2011 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. და მაზ. სოფ. საგაბაშვილო-თხინვალაში.

ანდრონიკოვი, რევაზ იოსების ძე. სახნავი, საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 1053 დეს. და 1440 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. თელავის მაზ. აგარაკ ზემო-ხოდაშენში.

ციციანოვი, დავით ივანეს ძე. სახნავი, საძოვარი, სასახლკარე ადგილები და ტყე, ზომით 87 დეს. და 960 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. გორის მაზ. სოფ. ქვემო-ნიჩბისში.

ზანდუკელი, ოტია გიორგის ძე. სახნავი და სათიბი ადგილები, ზომით 80 დეს. ტფ. გუბ. თიანეთის მაზ. სოფ. ბაქნიაანთ-კარში.

ავალოვისა, ოლგა ედუარდის ასული. სახნავი მიწები, ზომით 12 დეს. და 2320 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. დუშეთის მაზ. სოფ. საშაბუროში.

თარხან-მოურავისა, ელენე ალექსანდრეს ასული. სახნავი, სასახლკარე, სათიბი ადგილები და ტყე, ზომით 545 დესეტინა და 1645 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, აგარაკ სათუხარლოში.

ხმიადოვი, ვასილი ექვთიმეს ძე. სახნავი და სათიბი ადგილები, ზომით 145 დესეტინა და 1756 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელს ნაწრეტში.

გედევანოვი კონსტანტინე დავითის ძე. სახნავი-საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 89 დესეტინა და 2046 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიაში, დუშეთისა და გორის მაზრაში, აგარაკ მუხათ-გვერდში, საგუდეში და სასხორში.

შალიკოვი, ალექსანდრე რაჟდენის ძე. სახნავი, სათიბი ადგილები, ტყე და შენობები, მიწა ზომით 394 დესეტინა და 620 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელს სკრაში.

ახალის კატეგორიისა.

ა) ქალაქის მამულები

იაევი, პეტრე ივანეს ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველისავე მოწყობილობით და მიწით, ზომით 200 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-7 ავლაბრის ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს.

მელითაური, მიხეილ გიორგის ძე. ორ - სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფებითა და შენობებით, მიწა ზომით $81^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟენი. 1 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისში, ვერაზედ, მოსკოვის ქუჩაზედ.

ლიხოტინსკები, ვასილი გერასიმეს ძე, ვალენტინა, ანტონინა, ვასილ და ანასტასია ვასილის ძენი. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფის სართულით, მიწა ზომით $112^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟენი, მე-10 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, მიხეილის ქუჩაზედ.

პორფიროვი, ფეოპემპტე პროკოფის ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის, სარდაფის სართულიანი, სახლი, შენობებით და ყოველისავე კუთვნილებით, მიწა ზომით 105 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-12 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ჩუღურეთში.

მთვარელოვი, ნიკო ვასილის ძე. სამ სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, მიწა ზომით 50 ოთხ-კუთ-

ხი საჟ., მე-9 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ახალ-აგურხანის ქუჩაზე.

ჯორჯაძე, დავით ვახტანგის ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფიანის სართულით და ყველა კუთვნილებით, მიწა ზომით 1443 ოთხ-კუთხი საჟენი. ქ. თელავში.

ნაზაროვი, ალექსანდრე ივანეს ძე (მამედ-ალი). ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ-სართულიანი ფლიგელი სარდაფით, მიწა ზომით 180 ოთხ-კუთხი საჟ., მე-6 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ვარანცოვის ქუჩაზედ.

ერისთავისა, ნინო ალექსანდრეს ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფის სართულით, ორ-სართულიანი სარდაფიანის ფლიგელით და შენობებით, მიწა ზოთით 144 ოთხ-კუთხი საჟ., მე-2 განყოფილებაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ

ნუნუფაროვი, მარტიროზ სტეფანეს ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფის სართულით, ტრ-სართულიანი ქვითკირის ფლიგელა ყოველივე კუთვნილებით, მიწა ზომით 363 ოთხ-კუთხი საჟ., მე-7 ავლაბრის ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ავლაბრის მოედანზედ.

კეგამოვი, არსენ სულთანის ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და ფლიგელით და ბაღი, მიწა ზომით 1 დესიატინა და 1440 ოთხ-კუთხი საჟ. რუსულის ზომით. ქ. ერევანში.

ბეჟანოვი, მიხეილ ბეჟანის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ბაღი და საზოსტნე ადგილი, მიწა ზომით 3090 ოთხ-კუთხი საჟენი. მე-10 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, დიდ-უბეში.

მელიქ-აღამალოვი, ალექსანდრე მათეს ძე. 1-ლი, ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და ქარვასლა, რომელიც შესდგება სამი ფლიგელისაგან, ერთი მათგანი ორ-სართულიანი და ორი ერთ-სართულიანი ყოველივე კუთვნილებით, და 2, ერთ-სართულიანი ქვითკირის სარდაფიანი სახლი და სამი ფლიგელი: ერთი ორ-სართულიანი და ორიც თითო სართულით, მიწა ზომით 919 ოთხ-კუთხი საჟენი. ქ. ერევანში.

ოსიფოვი, აბრამ სვიმონის ძე: საზოსტნე ადგილი, ბაღი და ორი თითო-სართულიანი ქვითკირის სახლი, მიწა ზომით $2163^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი საჟენი. მე-6 ვარანცოვის ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ორთაჭალაში.

ბახუტოვები, ალექსანდრე და კონსტანტინე სიმონის ძენი: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და დუქნები, მიწა ზომით 744 ოთხ-კუთხი საჟენი, ქ. თელავში, და ბაღიც, ზომით 3 დესეტინა და 480 ოთხ-კუთხი საჟენი, აგარაკ კურდღელაურში.

არნაუტიანცი, გრიგოლ ოსეფის ძე: სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, მიწა ზომით 14 ოთხ-კუთხი საჟენი და $2^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი არშინი, მე-3 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, სალდათის ბაზარში.

შაბუროვები, გრიგოლ და სოლომონ ივანეს ძენი. 1-ლი, ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით, სამ - სართულიანი ფლიგელი, ფურნე, თავლა და ბაღი, მიწა ზომით 714 ოთხ-კუთხი საჟენი, და 2, ბაღი მარნითა მიწა ზომით: სიგძით 63 საჟენი, სიგანით სამხრეთით 10 საჟ. და ჩრდილოეთით 9 საჟენი. ქ. სიღნაღში.

მანუჩოვი, ამბარცუმ ავეტისის ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და ყოველივე კუთვნილებით, მიწა ზომით $149^{2}/_{3}$ ოთხ-კუთხი საჟენი. 1 ნაწილში, ქ. ალექსანდრეპოლში, № 12.

ანდრონიკოვისა, თებრონია გიორგის ასული. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, მიწა ზომით სიგძით 25 საჟენი და სიგანით 15 საჟენი. ქ. სიღნაღში.

მაყაშევი, არუთინ იაკობის ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სარდაფით სახლი და ერთ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 406 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ერევანში, ატაფიევის ქუჩაზედ.

მძინაროვისა, სოფიო გერასიმეს ასული. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი შენობებით, მიწა ზომით 107 ოთხ-კუთხი საჟენი. მე-7 ავლაბრის ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს.

ზაზუნოვი, სვიმონ გრიგოლის ძე. ორი ქვითკირის სახლი, ერთი ორ-სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი და ორი დუქანი, მიწა ზომით დაახლოვებით 100 ოთხ-კუთხი საჟენი. ქ. გორში.

თავდგირიძე, ბესარიონ გაბრიელის ძე. ორი თითო სართულიანი სახლი, ფურნე და ბაღი, მიწა ზომით სიგრძით 51 და სიგანით 48 საჟენი. ქ. გორში.

შუაქროვი, თევდორე გრიგოლის ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი მეზონინით და სარდაფით და ორი ფლიგელი. ერთი ორ-სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი. მიწა ზომით 126 ოთხ-კუთხი საჟენი. მე-8 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ჩუღურეთში.

ჰერბალაია-ალი-ახპერ-ჰაჯი-ყასუმ-ოღლი: ორ-სართულიანი ქვითკირის სარდაფით, საყინულით და თავლით სახლი და ბაღი, მიწა ზომით: 12366 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ერივანში, შაგარის ნაწილში, სარტიპქიუჩას ქუჩაზედ.

მარქაროვები, ამბარცუმ და არუთინ ადამის ძენი. ორ-სართულიანი ქვითკირის სარდაფით სახლი და ერთ-სართულიანი სარაით ფლიგელი ზომით სიგძე $84^{1}/_{2}$ და სიგანე 31 არშინი. ქ. ერევანში, ტაპაბაშინის ნაწილში.

ტერ-მარუქოვისა, ეკატერინე ნიკიტას ასული. ერთ-სართულიანი სახლი სარდაფის სართულით დ ყოველივე კუთვნილებით ზომით სიგძე 72 სიგანე 32 არშინი რუსული ზომით. ქ. ერივანში, ტაპაბაშინის ნაწილში.

გილიანცევი, დანიელ ლაზარეს ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფის სართულით, ორ-სართულიანი სარდაფით ფლიგელი და ერთ-სართულიანი შენობა ზომით სიგძე $28^{3}/_{4}$ არშინი და სიგანით $22^{1}/_{4}$ არშინი რუსულის ზომით მე-4 განყოფილებაში ქ. ბაქოში, № 177.

ფირალოვი, ლევან სიმონის ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და თავლით, მიწა ზომით 113 ოთხ-კუთხი საჟენი, და 3 ოთხ-კუთხი არშინი, ანუ რამდენიც აღმოჩნდება. ქ. ახალციხეში, ახალ ნაწილში.

ნიკოლაძე, ეკატერინე იაკობის ასული. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი მიწით, სარდაფის სართულით, ზომით 370 ოთხ-კუთხი საჟ., ქ. ქუთაისში, გოსპიტლის ქუჩაზედ.

აირაპეტოვი, სერგეი ავეტიქას ძე. ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და ოთხი თითო-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 88 ოთხ-კუთხი საჟ. მე-5 ნაწილ., 1 განყოფ. ქ. ტფილისს, ქეთხუდის ვიწრო ქუჩაზედ.

სურგუნოვი, ალექსანდრე სტეფანეს ძენი. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, მიწა ზომით $344^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი საჟ. მე-10 ნაწილში, მე-2 განყ., ქ. ტფილისს, დიდუბეში.

ედიგაროვები, სალომე გიორგის ასული, ნიკოლოოზ, ვასილ და კონსტანტინე სოლომონის ძენი. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, მეზონინით და სარდაფით, და ორ-სართულიანი სარდაფით ფლიგელი, მიწა ზომით 41 ოთხ-კუთხი საჟ. მე-5 ნაწილში, 1 განყ., ქ. ტფილისს.

ბარათოვი, ნიკოლოოზ მიხეილის ძე. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი და სამ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით $57^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი საჟ. მე-2 ნაწ. 1 განყ. ქ. ტფილისს, მთაწმინდაში.

ჯორჯაძეები, ეკატერინე სიმონის ასული, ივანე, მართა და ქეთევან სერგეს ძე და ასულნი. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველივე კუთვნილებით და ბაღით, მიწა ზომით 942 ოთხ-კუთხი საჟენი, ანუ რამდენიც აღმოჩნდება. ქ. განჯაში, 1 ნაწილში, ზარაფოვის ქუჩაზედ.

გამაზოვისა მარიამ იოსების ასული. ორ - სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველივე კუთვნილებით, მიწა ზომით 90 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-10 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, მეოთხე თუმანოვის ქუჩაზედ.

ჭივჯავაძე (იგივე ჯივჯავაძე), იაკობ მაქსიმეს ძე. ორ სართულიანი სახლი, ხეხილიანი ვენახი მიწა ზომით 3 დესეტინა და 1275 ოთხ-კუთხი საჟენი. მე-7 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ნავთლუღში.

გაბაევი, იოსებ დავითის ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სარდაფით სახლი და ორი ორ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 100 ოთხ-კუთხი საჟ., 1 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ოლგას ქუჩაზედ.

დემუროვი, იოვანე იაგორის ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ერთ-სართულიანი სარდაფით სახლი, შენობა და სარაია, მიწა ზომით 53 ოთხ-კუთხი საჟ. და 69 გოჯი მე-2 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ხევის ქუჩაზედ.

ალელოვი, იოსებ დავითის ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სარდაფით სახლი, ფურნე და თავლა, მიწა ზომით 125 ოთხ-კუთხი საჟენი, ანუ რამდენიც აღმოჩნდება. ქალაქ. გორში.

ქერბალაი-აბას-ყული-მამადი-მამედ-ჰუსეინ - ოღლი: ერთ-სართულიანი სახლი ანუ დუქნები, და ორ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 91 ოთხ-კუთხი საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება. ქ. ბაქოში, მე-2 ნაწილში.

ბაბაევები: მუგდუსი გევორქ, დ ავეტიქ ნიკიტის ძენი: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ფურნე, დუქნები, სარაია, თავლა, ბეღელი და ქარვასლა, მიწა ზომით 2730 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. გუმბრში, № 41.

ბარათოვი, დავით ზაქარიას ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ორ-სართულიანი ფლიგელი და დიდი სარაია, მიწა ზომით 224 ოთხ-კუთხი საჟ., მე-2 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, მთაწმინდაში.

ყაითმაზოვი, გრიგოლ ოსეფის ძე, ორ-სართულიანი ქვითკირის სარდაფით სახლი დი ორ-სართულიანი სარდაფით ფლიგელი, მიწა ზომით 40 ოთხ-კუთხი საჟ., მე-8 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს.

ბაქრაძე, ნიკოლოოზ ივანეს ძე: ოთხი თითო სართულიანი ქვითკირის სახლი, სარაია და ბაღი, მიწა ზომით 704 ოთხ-კუთხი საჟ., მე-9 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ელისაბედის ქუჩაზედ, №№ 35 და 37.

ბებუთოვები: გიორგი და ნიკო სოლომონის ძენი და მარიამ სოლომონის ასული ფალავანდოვისა: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით $58^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი საჟ., მე-4 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს.

ჩუტკერაშვილი, დიმიტრი სიმონის ძე, ორ-სართულიანი ქვითკირის სარდაფით სახლი, მიწა ზომით სიგძე $7^{1}/_{2}$ და სიგანე 4 საჟ., ქ. გორში.

ცურინოვი, სოლომონ ივანეს ძე: ერთ-სართულიანი სარდაფით და მაღაზიით სახლი, ორ-სართულიანი ფლიგელი და ერთ-სართულიანი სარდაფით სახლი, დუქნები, მიწა ზომით 220 ოთხ-კუთხი საჟ., მე-5 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, სომხების სავაჭროზე.

ჰაჯი-აღა-ბეღუმ-ხანუმა, მამედჰასან-ხან-სარდარა. ორ-სართულიანი ქვითკირის მეზონინით სახლი, ორი თითო-სართულიანი შენობით, თავლა და ბაღით, მიწა ზომით 193 ოთხ-კუთხი საჟ., ქ. ერევანში.

შახ-ქედანოვი, მელქუმ ქრისტეფორეს ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ორ-სართულიანი ფლიგელი და ორი თითო-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 150 ოთხ-კუთხი საჟენი. ქ. ბაქოში.

გრიგოლოვისა, ეკატერინე ივანეს ასული, ერთ-სართულიანი სარდაფით სახლი და ბაღი, მიწა ზომით 390 ოთხ-კუთხი საჟ., მე-6 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ავლაბარში.

პროტოპოვისა, მარიამ ბაგრატის ასული. ორ-სართულიანი სარდაფით ქვითკირის სახლი და ორ-სართულიანი სარდაფით ფლიგელი, მიწა ზომით 225 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-4 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, აღმართის ქუჩაზედ.

იმნაძისა, ეფემია გიორგის ასული. ორი თითო - სართულიანი სარდაფით და მეზონინით სახლი, წისქვილი და სარაია, მიწა ზომით 111 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-8 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, რიყეზედ.

მაჩაბელისა, ბარბარე სიმონის ასული, ორ-სართულიანი ქვითკირის სარდაფით და შენობით სახლი, მიწა ზომით 450 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. დუშეთში.

მნაცაკანოვები (იგივე სტეფანოვები): ავაშ და მარტიროს სტეფანეს ძენი. ორ-სართულიანი ქვითკირის სარდაფით სახლი, ერთ-სართულიანი სარდაფით სახლი და ერთ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით: სიგძე 60 და სიგანე 20 არშ., ქ. ერევანში.

ედიგაროვისა, სეიდ-ხანუმა. ორ-სართულიანი ქვითკირის სარდაფით სახლი და ორი ორ-სართულიანი სარდაფით ფლიგელი, ყოველივე კუთვნილებით, მიწა ზომით 254 ოთხ-კუთხი საჟენი, ქ. ტფილისს, მე-6 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ვორონცოვის ქუჩაზედ.

აკოფჯანოვი, კარაპეტ სერგეის ძე. ორ-სართულიანი ფლიგელი, ერთ-სართულიანი სახლი სარდაფით, ერთ-სართულიანი შენობა და ფურნე, მიწა ზომით 960 ოთხ-კუთხი საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდეს, ქ. ახალციხეში.

ფორაქოვი, ალექსანდრე დავითის ძეს: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, მიწა ზომით $46^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი საჟ., მე-7 ავლაბრის ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, მარინეს ქუჩაზედ.

პროტოპოპოვისა, მარიამ ბაგრატის ასული. ერთ-სართულიანი შენობა ანუ დუქნები. მიწა ზომით $90^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი საჟ., მე-8 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, რიყეზედ.

დევიძე, გიორგი (იგივე ბიჭია) ტატოს ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ერთ-სართულიანი სახლი და ბაღი, მიწა ზომით 590 ოთხ-კუთხი საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება, ქ. თელავში.

კომანდაროვისა, ელისაბედ ზურაბის ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის დუქნებით და სარდაფებით სახლი, მიწა ზომით 28 საჟ. და $1^{1}/_{2}$ არშ. მე-6 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, აბანოების და ბატანიჩესკის ქუჩაზედ.

სიტლაძე, ალექსი გლახას ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის მეზონინით სახლი და ერთ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 51 ოთხ-კუთხი საჟენი, 1 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ჰავჭავაძის ქუჩაზედ.

გურამოვისა, მარიამ დავითის ასული. ორ-სართულიანი სარდაფით სახლი, ერთ-სართულიანი სარდაფით სახლი, ორ-სართულიანი ფლიგელი, და ერთ-სსრთულიინი ფლიგელი, მიწა ზომით 114 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-5 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, აკიმოვის ქუჩაზე.

ყორღანოვი, ნიკოლოოზ გიორგის ძე. ორი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, მიწა ზომით 160 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-4 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, სოლოლაკის და ძველ ინსტიტუტის ქუჩებზედ.

სადათელოვისა, დარია ავეტიქას ასული. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 150 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-9 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ელისაბედის ქუჩაზედ.

ადამიანცი, აბრამ პაპულიან და ალტუნოვი, პოღოს-ბეკ ავაქას ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ორ-სართულიანი ფლიგელი და ორი თითო-თითო სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით $147^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ერევანში.

იოანისიანი, მემკვიდრე იაგორ